



ჯანდაცვის სექტორი შესაძლებლობების გაძლიერება და გადაუდებელი მზადყოფნა COVID-19 შედეგობრივ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით

ჯანდაცვის სექტორის სამოქმედო გეგმა 2020-2021

„ჯანდაცვის სექტორი შესაძლებლობების გაძლიერება და გადაუდებელი მზადყოფნა COVID-19 შემდგომი ტალღებისათვის; ჯანდაცვის სექტორის სამოქმედო გეგმა 2020-2021“ საკმაოდ მოცულობითი და ძალიან საინტერესო დოკუმენტია. კარგად არის სტრუქტურირებული და მკაფიოდ არის გამოყოფილი მიზნები და ამოცანები. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ დოკუმენტი შიდა რესურსებით არის მომზადებული. მიუხედავად აღნიშნულისა, არის რამდენიმე კრიტიკული მომენტი, რომელიც მნიშვნელოვანია გავუზიაროთ ჯანდაცვის სამინისტროს მესვეურთ და დოკუმენტის ავტორებს.

ავტორი დასაწყისშივე განმარტავს, რომ ეს არის ქვეყანაში **ჯანდაცვის სექტორის COVID-19 გადაუდებელი მზადყოფნის სამოქმედო გეგმა** და „წარმოდგენილი დოკუმენტი არის ჯანდაცვის სექტორის გადაუდებელი მზადება შემდგომი ტალღების წინააღმდეგ რეაგირების გაუმჯობესების კუთხით და ეფუძნება შემდეგ პრინციპებს“. მიუხედავად ამისა, დოკუმენტი უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ COVID-19 რეაგირების გეგმა. გასაგებია, რომ COVID-19 იზოლირებულად ვერ განვიხილავთ, მაგრამ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება/რეორგანიზაცია, ეპიდემიადამხედველობა, ლაბორატორიული ქსელის გაძლიერება და ასე შემდეგ უფრო ფართო გეგმა ვიდრე, მხოლოდ COVID-19 შემდგომ ტალღებზე რეაგირება. ეს დოკუმენტი სცდება კოვიდის მზაობის გეგმას და მთლიანად სისტემაზე უფროა ფოკუსირებული. ასევე დოკუმენტის სათაურშია გამოტანილი: ჯანდაცვის სექტორის სამოქმედო გეგმა 2020-2021, რაც დამატებით სხვა მოლოდინს ქმნის დოკუმენტთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ ქვემოთ მოცემული ანალიზი მხოლოდ COVID-ს ეხება და შემოიფარგლება ეპიდემიაზე დროული რეაგირებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი რეკომენდაციებით.

ტექსტი იწყება შესავლით და გვიყვება ქრონოლოგიურად რა და როგორ იყო COVID-19-თან მიმართებაში და მერე ამ ყველაფერის რეზიუმე არის ანალიტიკური ჯგუფი. „მიზანშეწონილია აგვისტოში ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნას სპეციალური ანალიტიკური ჯგუფი (Health Task Force), რომელიც ქვეყანაში ეპიდემიის არსებობისას, მუდმივ რეჟიმში იმუშავებს ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებასა და მომზადებაზე, უახლესი ინფორმაციის მოძიებაზე, შეფასებისა და სწრაფი რეაგირებისთვის რეკომენდაციების შემუშავებაზე“ გაურკვეველია, რატომ დადგა ამ ჯგუფის შექმნის აუცილებლობა აგვისტოში და არა მარტში? რა დამატებითი ერთეული იქმნება, როდესაც არის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და დაავადებათა კონტროლის ეროვნული, ცენტრი, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი და ასევე N 01-18/ო ბრძანებით შექმნა საკოორდინაციო კომისია ჯანდაცვის სამინისტროში და, დამატებით, სამთავრობო უწყებათაშორისი საბჭო პრემიერ მინისტრის ხელმძღვანელობით.

შესავალში ასევე ერთი უზუსტობაა, რომ ეპიდემიის გამწვავებასთან ერთად დაიხურა სკოლებში. საქართველოში პრევენციის მიზნით დაიხურა სკოლები და არა ეპიდემიის გამწვავების ფონზე.

ეპიდემიის დასრულების გაძლიერების სტრატეგიულ ღონისძიებებში, მოყვანილია შუქნიშანი, სადაც ფერების მიხედვით გაწერილია კოვიდ-19 დღიური შემთხვევის რაოდენობა. თუმცა გაურკვეველია რა ხდება წითელი ფერის შემდეგ, როცა საშუალო დღიური მაჩვენებელი 30 ახალი შემთხვევა და მეტი მინიმუმ 14 დღის განმავლობაში ყოველ 100 000 მოსახლეზე. დღევანდელ სიტუაციას თუ გავითვალისწინებთ შეთხვევების მატება აღნიშნება და რა მოხდება წითელი ფერის შემდეგ. როგორ პასუხობს სისტემა უფრო მეტ შემთხვევებს გაუგებარია?

თითოეულ ამოცანას/მიზანს ერთვის შეფასების ინდიკატორები, რომლებიც, სამწუხაროდ, ძირითადად პროცესის ინდიკატორებს წარმოადგენენ და ჯგუფის წევრებს გაუჩნდათ განცდა, რომ ძნელი იქნება (საერთოდ თუ იქნა შესაძლებელი) შედეგის გამოშვება. ასევე არ არის მითითებული და გაუგებარია ვის ეკისრება ვალდებულება მიაღწევოს თვალყური გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულებას, ვისი ვალდებულებაა შესრულების ხარისხის შეფასება და საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე თუ შესრულებულ აქტივობებზე.

მიგვაჩნია, რომ პანდემიის ეფექტური მართვის კუთხით, ზოგიერთი აქტივობა, რომელიც დოკუმენტში ჯერ კიდევ მომავალ დროშია მოწოდებული, უკვე დაგვიანებულია. მაგ. მუნიციპალურ ცენტრებში დამატებითი (კვალიფიციური) ადამიანური რესურსების მოზიდვა და დასაქმება. საინტერესოა, თუ მოხდა უკვე ამ რესურსების იდენტიფიცირება და თუ მიმდინარეობს მათი გადამზადების პროცესი.

ან კიდევ, ტესტირებაში ჩართული ლაბორატორიებს შესაძლებლობების გასაზრდელად დამატებითი ადამიანური რესურსების იდენტიფიცირება და მომზდება. საინტერესოა, თუ არის ადამიანები უკვე იდენტიფიცირებული და თუ მიმდინარეობს მათი მომზადება.

და ბოლოს, საავადმყოფოების გადაუდებელი სიტუაციისთვის მზაობის და რეაგირების გეგმების არსებობა. ეს სამუშაო უკვე უნდა იყოს ჩატარებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგვიანებულად მიგვაჩნია.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად, დაიწყებს ჰოსპიტლების მზაობის შეფასებას ინფექციის კონტროლის და COVID-19-ზე რეაგირებისთვის აუცილებელი პირობების შესაბამისად.“ როდის, როგორ და რის მიხედვით შეაფასებენ ჰოსპიტლების მზაობას, არის თუ არა გაწერილი ე.წ. „check list“ და უნდა ვივრთოდეთ თუ არა, რომ ეს აკრედიტაციის და პროგრამაში მონაწილეობის პირობა იქნება მომავალში.

ჰოსპიტალური ქსელის მზაობაზე როდესაც არის საუბარი, არის თუ არა კერძო სექტორზე ფინანსური ტვირთების გადანაწილების სამართლიანობის პრინციპი რაიმე ფორმით ასახული? სახელმწიფო ჰოლდინგზეც ძალიან ზედაპირული ინფორმაცია მოწოდებული, საინტერესოა უფრო დეტალურად რა და როგორ იგეგმება და ვინ მუშაობს „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების 10 წლიან გეგმაზე“?

მნიშვნელოვანი საკითხია მოსახლეობასთან კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც დღემდე არ არსებობს და წარმოდგენილი გეგმაც მის შექმნაზე საუბრობს. დღევანდელი ეპიდემიოლოგიური სიტუაცია (გაუარესებული) ამის კიდევ ერთი დამამტკიცებელია. პანდემიის დასაწყისში, ექიმების ეკრანებზე გამოჩენა, გარკვეულწილად, დადებითი მომენტი იყო მათი ღვაწლის დასაფასებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, ეკრანზე მუდმივად იყვნენ ადამიანები, რომლებსაც უამრავი საფიქრალი და საზრუნავი აქვთ ეპიდემიის პირობებში და ძალიან დიდი პასუხისმგებლობა. არ მიგვაჩნია სწორედ, რომ მათი სატელევიზიო ეთერში ყოფნა სწორი იყოს, მათი დრო ამაზე არ უნდა იხარჯებოდეს. მით უმეტეს, რომ იყო შემთხვევები, როდესაც მათი განცხადებები ერთმანეთს გამორიცხავდა, რაც მოსახლეობაში დაბნეულობასა და შფოთვის იწვევდა და იწვევს. საზოგადოებისთვის ყველაზე დიდი დისკომფორტი იყო და არის ანალიტიკის ნაკლებობა. მშრალი ციფრები ჟურნალისტებსაც მოხებრდათ. ამ ინფორმაციის მოძიება უკვე მთავრობის მიერ შექმნილ ვებგვერდზეც არის შესაძლებელი. მოსახლეობისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ანალიზი და ამ ანალიზის შედეგად როგორ იცვლებოდა მთავრობის გადაწყვეტილებები. რა უდევს საფუძვლად ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, შეზღუდვის დაწესებას თუ, პირიქით, შემსუბუქებას.

შემდგომი ტალღების შემთხვევაში თანმიმდევრულ და ფაქტებზე დაფუძნებულ კომუნიკაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება. ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რატომ წესდება ესა თუ ის შეზღუდვა და რა მოჰყვება წესების დაუცველობას. ჯარიმების შიშით ბევრს ვერ მივალწევთ. საზოგადოებრივ თვითშეგნებაზე როცა ვსაუბრობთ, ის ინფორმაციას მოითხოვს და გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღებას. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს მოსახლეობასთან კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც იქნება შეკრებულ, შეთანხმებული და ყველა მხარეს ეცოდინება ვინ რა ტიპის ინფორმაციაზეა პასუხისმგებელი: ეპიდემიოლოგიური სიტუაცია – დაავადებათა კონტროლის ცენტრი; სისტემის მზაობა – ჯანდაცვის სამინისტრო;

2019 წელს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) მიერ შეიქმნა პლატფორმა, რომლის მიზანია ჯანდაცვის სისტემის განვითარებისთვის და გრძელვადიანი ხედვის განსაზღვრისთვის, პოზიციების, არგუმენტირებული მოსაზრებების და რეკომენდაციების შემუშავება. ჯგუფის წევრები არიან ჯანდაცვის, ეკონომიკის და სახელმწიფო მართვის სფეროში პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ სურვილი და მზაობა, მსოფლმხედველობითი განსხვავების მიუხედავად, შეთანხმდნენ ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფოს განვითარებისთვის საუკეთესო მიდგომებზე. SARS-COV-2-ის ეპიდემიის გავრცელების გამო სამუშაო ჯგუფი აქტიურად ჩაერთო აღნიშნული პანდემიის გარშემო შექმნილი პრობლემური საკითხების განხილვაში და 1 მაისს წარმოადგინა რეკომენდაცია N3. ვფიქრობთ აღნიშნული რეკომენდაციები რელევანტურია დღესდღეობით, როდესაც ქვეყანა ახალ – შიდა გავრცელების ეტაპზე გადავიდა, რაც ეპიდემიის მართვის განახლებულ მიდგომებს საჭიროებს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ, ეპიდემიოლოგიური ვითარების სამართავად, გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

- მთავარი მესიჯი – დავიწყოთ და ვისწავლოთ ცხოვრება SARS-COV-2 ვირუსთან ერთად. ეს ნიშნავს:
 - ინფიცირების ახალი შემთხვევების მატება მომდევნო თვეებში გარდაუვალია, მაგრამ შესაძლებელია სტაბილიზაცია ხანგრძლივი დროით, ეპიდემიის განლევაში;
 - ჩვენ უნდა ვისწავლოთ ახალი შემთხვევების ნაკადების მართვა:
 - ინფიცირების ახალი შემთხვევის თანდათანობით მატება დასაშვებია, თუ მას უმკლავდება სამედიცინო სისტემა;

- ❑ დარჩეს მხოლოდ ის შეზღუდვები, რომელთა გაუქმება ქმნის ინფექციის ახალი შემთხვევის მკვეთრი მატების საფრთხეს, რათა შემსუბუქდეს ის სოციალური, ეკონომიკური და ადამიანის უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული შოკი, რომელსაც ქვეყანა იღებს;
- ამ პროცესში ვაქციით საზოგადოება თანამოაზრედ:
 - ❑ მივცეთ საშუალება გაიაზროს რეალური რისკები, საკუთარი პასუხისმგებლობა და, უსაფრთხოების ზომების დაცვით, გააგრძელოს ვირუსთან თანაარსებობა;
 - ❑ მივაწოდოთ ობიექტური ინფორმაცია, გავუზიაროთ გეგმები და შედეგები, გავმართოთ დიალოგი, ვცადოთ შეთანხმება, და ნაკლებად შევუქმნათ მოულოდნელობები.
 - ❑ ეპიდემიის სამართავად რეპრეზენტაციული სერო-პრევალენტობის კვლევებით სტრატეგიული ინფორმაციის მიღება და გასაჯაროება;
 - ❑ ფიზიკური დისტანციის დაცვისა და პერსონალური უსაფრთხოების საშუალებების გამოყენების ხელშეწყობა და ეფექტიანი კონტროლის დამყარება;

რისკ ჯგუფების სრულად ტესტირება (მოცვა და სიხშირე ეროვნული გეგმის შესაბამისად);

სამედიცინო დაწესებულებების ქსელის მზადყოფნის ამაღლება (ეროვნული გეგმისა და სტანდარტების შესაბამისად) ორი მიმართულებით:

- ❑ ინფექციის შიდა გადაცემის პრევენცია და კონტროლი
- ❑ COVID-19-საეჭვო და დადასტურებული შემთხვევების კლინიკური მართვა

ეფექტიანი კომუნიკაცია საზოგადოებასთან, და ინტერეს-ჯგუფებთან, ყველა ზემოხსენებული ზომების გატარების შესახებ ანგარიშების გასაჯაროების ჩათვლით.

დოკუმენტი მომზადებულია ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის მიერ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა (EPRC) და USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) ერთობლივი პლატფორმის ფარგლებში.



ეს პუბლიკაცია დაფინანსებულია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) და იგი არ ასახავს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოსაზრებებს.